UDC 612.321
SCOPUS CODE 1408
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-2-140-148

საპენსიო სისტემის რეფორმის აქტუალურობა საქართველოში

ზაზა სოფრომაძე ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: z.sopromadze@gtu.ge

ნინო გვეტაძე ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, 0160, თბილისი, მ. კოსტავას 77
E-mail: ngvetadze@moh.gov.ge

რეცენზენტები:

ნ. ჩიკვილაძე, სტუ-ის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი
E-mail:n.chikviladze@gtu.ge

მ. თორია, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი
E-mail:Mamuka.toria@ciu.edu.ge

ანოტაცია. საქართველოში საპენსიო სისტემის რეფორმის საკითხი აქტუალურია. უნდა აღინიშნოს, რომ არსებული საპენსიო სისტემის მნიშვნელოვანი ნაკლი მისი მუდმივი ზეწოლა იყო საბიუჯეტო სექტორზე, რაც სახელმწიფოს დიდ ტვირთად აწვებოდა. უკანასკნელ პერიოდში ქვეყანაში მიმდინარე დემოგრაფიულმა ცვლილებებმა (პენსიონერთა სიცოცხლის ხანგრძლივობის მატებამ, დემოგრაფიულ სექტორში აქტიურმა დაბერებამ, სამუშაო ძალის კლების ტენდენციამ, უნივერსალური ჯანმრთელობის დაზღვევის შემოღებამ და სხვა) მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ქვეყნის ეკონომიკაზე და ახალი გამოწვევები გამოკვეთა, რამაც რისკის წინაშე დააყენა სახელმწიფო საპენსიო სისტემის მდგრადობა.

საქართველოში საპენსიო სისტემის რეფორმის აუცილებლობაზე დისკუსია ბოლო წლებში უფრო გააქტიურდა. მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სოციალური დანახარჯებიდან ყველაზე დიდი წილი სახელმწიფო პენსიას ეკუთვნის. საქართველოში მოქმედი საპენსიო სქემა კი არ იძლევა ადეკვატური ცხოვრების გარანტიას, არამედ უზრუნველყოფს საბაზისო შემოსავალს და ამიტომაც მთავრობის მხრიდან დღის წესრიგში დადგა საპენსიო რეფორმის ჩატარების აუცილებლობა, რათა სისტემამ მეტად უპასუხოს ასაკოვანი მოქალაქეების საჭიროებებს და შემლებისდაგვარად უზრუნველყოს მათი ღირსეული სიბერე.

საკვანძო სიტყვები: აქტიური დაბერება; დემოგრაფიული ცვლილებები; დაგროვებითი საპენსიო სისტემა; პენსიის ინდექსაცია; რეფორმის აქტუალურობა; რეფორმის სარგებლიანობა; საბიუჯეტო წნეხი; საპენსიო პოლიტიკა; სოციალური დანახარჯები; სოლიდარული ეფექტი; ჩანაცვლების კოეფიციენტი.

შესავალი

აქტიური დაბერება მსოფლიოს წარმატების ისტორიაა. დღეს მოსახლეობა უფრო ხანგრძლივად ცხოვრობს. ამაში წვლილი გაუმჯობესებულ ჯანდაცვას, ფარმაცევტული ბაზრის წინსვლასა და, ეკონომიკური განვითარების ფონზე, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას მიუძღვის. გლობალური დაბერება პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასთან და ქვეყნის სოციალურ პოლიტიკაზე გავლენას ახდენს. სახელმწიფომ უნდა აღიაროს პრობლემის აქტუალურობა, გაანალიზოს დემოგრაფიული რეალობა და, შესაბამისად, შეცვალოს არსებული პოლიტიკა. თუმცა, საპენსიო პოლიტიკაში ნორმების კორექტირება შეიძლება მტკივნეულიც კი აღმოჩნდეს ხანდაზმულთათვის, მაგალითად, ზოგიერთმა ქვეყანამ ეტაპობრივად გაზარდა საპენსიო ასაკი.

ძირითადი ნაწილი

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ მოკავშირე რესპუბლიკების უმეტესობამ დღის წესრიგში დააყენა შეენარჩუნებინა სოციალური უზრუნველყოფის მაღალი სტანდარტი და „ღირსეული პენსია“ დაენიშნა ასაკოვანი მოსახლეობისთვის, თუმცა საქართველოში 1990-იან წლების ეკონომიკის კოლაფსმა აღნიშნულის პრაქტიკაში განხორციელება ვერ უზრუნველყო. იმდროინდელ სახელმწიფო პენსიას საარსებო შემწეობის დანიშნულება უფრო ჰქონდა, ვიდრე სოლიდარული ფუნქცია.

პრობლემები მრავალწახნაგოვანი იყო:

- ✓ უპირველესად, ეს ეხებოდა საპენსიო უზრუნველყოფის საკანონმდებლო გარანტიებს, კერძოდ პენსიის გაცემის საფუძველი მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტი იყო და პენსიონერისათვის კუთვნილი უფლების რეალიზება სხვა საკანონმდებლო ნორმით არ იყო უზრუნველყოფილი;
- ✓ საქართველოში არსებული სისტემის მნიშვნელოვანი ნაკლი მისი მზარდი ზეწოლა იყო საჯარო ფინანსების სექტორზე, რაც სახელმწიფო ბიუჯეტს დიდ ტვირთად აწვებოდა;
- ✓ ქვეყანაში მოქმედი საპენსიო სქემა ვერ უზრუნველყოფდა შეცვლილი ცხოვრების დონესთან (ფასების პერმანენტული ზრდა და სხვა) ადეკვატურ შესაბამისობას;
- ✓ მიმდინარე დემოგრაფიული სურათის ცვალებადობამ (მოსახლეობის მატება, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა) სხვადასხვა ეკონომიკურმა კრიზისმა, შრომითი ძალის შემცირების ფონზე, აქტუალური გახადა საპენსიო სისტემის რეფორმის აუცილებლობა.

ეკონომიკურ თეორიაში არავინ უარყოფს იმ ჰიპოთეზას, რომ ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში ცდილობს შემოსავლების პროპორციულად გადანაწილებას ახალგაზრდობისა და სიბერის წლებში. ეკონომიკური რისკები ახალგაზრდებს აიძულებს თავად დაზოგონ თანხა საკუთარი სი-

ბერისთვის. თუმცა, პრაქტიკაში ყოველთვის ასე არ ხდება, ადამიანების ნაწილი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ყოველდღიურ მოხმარებას და არ ფიქრობს მოხუცებულობისთვის რესურსების გადანახვაზე. მაგალითად, ახალგაზრდისთვის რთული დასაგეგმია მისი ხარჯები იმ დროისთვის, როდესაც ის ხანდაზმულ ასაკს მიაღწევს, მან არ იცის რამდენის დაგროვებას შეძლებს, რა იქნება საინვესტიციო შემოსავლები, როგორ შეიცვლება ფასები, როგორი იქნება ინფლაცია ან როგორი იქნება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა. შორს გათვლილი გეგმების უქონლობა პრობლემაა როგორც ცალკეული ადამიანებისთვის, ისე საზოგადოებისთვის, რადგან მისი რჩენა ეკონომიკას და, ძირითადად, სახელმწიფოს ტვირთად აწვება. არსებობს მოსაზრება, რომ გარკვეულ შემთხვევებში გრძელვადიანი საინვესტიციო ინსტრუმენტები არაა ხელმისაწვდომი ან ნაკლებად სანდოა. ეს საკითხები განსაკუთრებით გასათვალისწინებელია განვითარებადი ქვეყნებისთვის, სადაც ქვეყნის პოლიტიკური და ფინანსური რისკები იმდენად მაღალია, რომ მოსახლეობა საბანკო დეპოზიტებზეც კი ერიდება თანხის განთავსებას, ხშირად მართებულად (ამის ნათელი მაგალითია საქართველოს 1990-იანი წლები). მსოფლიოს განვითარებულმა სახელმწიფოებმა ადრევე გააცნობიერეს საპენსიო რეფორმის სასიცოცხლო აუცილებლობა. გლობალურად, მათ შორის საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიული სურათის ცვალებადობამ (მოსახლეობის მატება, სიცოცხლის ხანგრძლივობის ზრდა) და სხვადასხვა ეკონომიკურმა კრიზისმა, შრომითი ძალის შემცირების ფონზე, აქტუალური გახდა საპენსიო სისტემის რეფორმის აუცილებლობაზე საუბარი, ამიტომ დღის წესრიგში დადგა დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა.

დღეს საქართველოში მოქმედებს 2006 წელს მიღებული ,,სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონი და შედეგად სახეზე გვაქვს სახელმწიფო საპენსიო სისტემა, სადაც ყველა ასაკოვანი იღებს ერთნაირ პენსიას, მიუხედავად სტაჟისა და სხვა რაიმე დანამატისა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი სახელმწიფო საპენსიო მოდელი ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ძირითადი წყაროა დასაქმებული მოქალაქეების მიერ ყოველთვიურად გადახდილი საშემოსავლო გადასახადი. საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად, დასაქმებული მოქალაქეები იხდიან ფიქსირებულ სოციალურ გადასახადს, რომელიც საპენსიო ფონდებში გადამისამართდება საპენსიო ვალდებულებების უზრუნველსაყოფად. საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, საქართველოს მსგავს საპენსიო სისტემას ნულოვან პილარს უწოდებენ, რომლის მიზანია მოსახლეობის დაფარვა ერთნაირი რაოდენობის პენსიით. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მსგავსი საპენსიო სისტემა სხვა ქვეყანაშიც ფუნქციონირებს. სისტემა ინკლუზიურია და მოქალაქეებს უზრუნველყოფს ერთნაირი საპენსიო შემოსავლით. აღნიშნული საპენსიო სქემა სიღარიბესთან ბრძოლის მთავარი ინსტრუმენტია. საპენსიო ასაკში მყოფი მოსახლეობის 95%-ზე მეტი სახელმწიფო პენსიით სარგებლობს, რაც ასაკოვან პირებში დაფარვის დიდი მაჩვენებელია. საქართველოში კანონიერ საფუძველზე მცხოვრები მოქალაქე, რომელიც სა-

პენსიო ასაკს მიაღწევს და კერძო სექტორშია დასაქმებული, უფლება აქვს მოითხოვოს სახელმწიფო პენსია. სოციალურ პოლიტიკაში სახელმწიფო პენსიას წამყვანი როლი ენიჭება, თუმცა ცხოვრების დონის მაღალ სტანდარტებს ვერ უზრუნველყოფს. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა, დამატებითი შემოსავლის მიღების მიზნით, დაგროვებითი სისტემის დანერგვა, რათა პენსიაზე გასვლის შემდეგ მოქალაქეებს გაუჩნდეს დამატებითი შემოსავალი, ღირსეული ცხოვრების სტანდარტის უზრუნველსაყოფად. წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს, რომ პენსიონერთა ზრდის ტენდენცია შენარჩუნდება. პროგნოზით, მომავალი 15 წლის განმავლობაში ასაკით პენსიონერთა რაოდენობა 30%-მდე გაიზრდება და ხანდაზმული მოსახლეობის რაოდენობა მთლიანი მოსახლეობის ერთი მეოთხედი იქნება.

ცხრილი 1



2014 წლის დასასრულს ჩატარებული საყოველთაო აღწერის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის მთლიანი რაოდენობა 3,730,000 შეადგენს, რაც მკვეთრად შემცირებულია მანამდე არსებულ 4.4-მილიონიან მაჩვენებლთან შედარებით. დემოგრაფიული ცვლილების დიდი ნაწილი შრომისუნარიან მოსახლეობაზე მოდის. ნავარაუდევია, რომ მომავალში გაგრძელდება სამუშაო ასაკის პირების კლების ტენდენცია. აღნიშნულმა ფაქტორმა უკვე იქონია მნიშვნელოვანი გავლენა ქვეყნის ეკონომიკაზე. ასევე, ევროპასთან მეტი ინტეგრაცია დამატებითი რისკია კვალიფიციური მუშახელის გადინებისთვის. პენსიონერთა სიცოცხლის ხანგრძლივობა წამყვანი ფაქტორია საპენსიო რისკების კვლევებში. დღეს ქალებში სიცოცხლის ხანგრძლივობა საპენსიო ასაკში გასვლის შემდეგ მიახლოებით 19 წელია, ხოლო მამაკაცებში – ბევრად ნაკლები. მოსალოდნელია ამ პარამეტრების კიდევ უფრო გაზრდა. ხაზგასასმელია, რომ პენსიაზე გასვლის ასაკი უცვლელია 1996 წლის შემდეგ: ქალებისთვის – 60 წელი,

მამაკაცების შემთხვევაში – 65 წელი. შრომისუნარიანი მოსახლეობის კლება გაგრძელდება გრძელვადიან პერსპექტივაში და, შესაბამისად, უარყოფითად აისახება ქვეყნის დემოგრაფიულ მაჩვენებელზე. პოპულაციის დაბერების და ხანდაზმულთა კუთრი წილის ზრდა შეუქცევია და ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი გამომწვევა. დემოგრაფიული დისბალანსის საფუძველზე დროდადრო სახელმწიფო საპენსიო სქემაში იკვეთება ფულადი რესურსების მობილიზების საჭიროება, რათა არ დადგეს სისტემის სტაბილურობის პრობლემა.

არსებული სახელმწიფო საპენსიო სქემა არ იძლევა ადეკვატური ცხოვრების სტანდარტის გარანტიას, არამედ უზრუნველყოფს მხოლოდ საბაზისო შემოსავალს, რომელიც დღეში 3,9 აშშ დოლარის ეკვივალენტურია (5,12 აშშ დოლარი 70 წელზე უფროსი ასაკის ადამიანებისთვის), რაც იმაზე მიუთითებს, რომ სვეტი არ არის ადეკვატური სოციალური დაცვის ინსტრუმენტი ხანდაზმულებისთვის.

ამჟამად, ხანდაზმულთა პენსიები სოციალური დანახარჯების ყველაზე დიდი კომპონენტია, რომელიც 2023 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის მიმართულებით აკუმულირებული საბიუჯეტო ხარჯების თითქმის 70% შეადგენს. აღსანიშნავია, რომ 2012 წლიდან 2022 წლამდე ასაკით პენსიის მიმღებთა რაოდენობა გაიზარდა 125444-ით (18.3 %), ხოლო პენსია, როგორც ბიუჯეტის ხარჯების წილი – 16%-დან 19%-მდე (1.817 მლრდ ლარი), 2023 წელს კი ხარჯების 21% შეადგინა.

პროგნოზით, 2030 წლის პენსიისა და სოციალური დახმარების მიმღებთა საერთო რაოდენობა 1.1 მლნ-ს მიაღწევს, 2060 წლისათვის კი – ასაკით პენსიონერთა ხარჯები საბიუჯეტო შემოსავლების დაახლოებით 30% იქნება, თუ არსებული 18%-იანი ჩანაცვლების კოეფიციენტი შენარჩუნდება. სოციალური დანახარჯების ზრდა უფრო დიდი წნეხი გახდება ქვეყნისთვის, შესაბამისად დადგება დრო, როდესაც სახელმწიფო უნივერსალური პენსიის მიმღებთა უმრავლესობა დაგროვებითი საპენსიო სქემის მონაწილე იქნება, ხოლო სახელმწიფო საპენსიო სქემაში დარჩებიან მხოლოდ ისინი, ვინც თავისი ნებით გამოეთიშა დაგროვებით საპენსიო სქემას. სახელმწიფოს მათ მიმართ ნაკლები ვალდებულება ექნება. დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლის მიზანი ადეკვატური ჩანაცვლების კოეფიციენტის მიღება და საბიუჯეტო ტვირთის შემცირება იყო. დაგროვებითი საპენსიო სისტემის მონაწილეებისთვის დამატებითი სოციალური პენსიის მიცემა კი შეუძლებელს გახდის ამ მიზნის მიღწევას. ქვეყანაში უნდა დამკვიდრდეს დანაზოგის კეთების კულტურა. ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ფისკალური რისკების დოკუმენტის საპენსიო ხარჯების მოდელირების მიხედვით, მშპ-ის ზრდის მიუხედავად, საბაზო პენსიისა და მშპ-ს ფარდობა 2022 წლიდან 2034 წლამდე 3.9% ფარგლებში ნარჩუნდება, რაც მძიმე ტვირთი იქნება ეკონომიკისთვის.

ცხრილი 2

მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა (მლნ ლარი) და პენსიის წილი ბიუჯეტის ხარჯებში (%), 2012-2023 წწ.



2022 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საპენსიო სქემაში ჩართული იყო 1,359,887 პირი, ამავე პერიოდში სააგენტო სისტემაში რეგისტრირებული დამსაქმებლების რაოდენობამ 94,994 შეადგინა. საპენსიო სააგენტოს მონაცემებით, 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით საპენსიო შენატანების საერთო რაოდენობამ 2,583,270,821.47 ლარი შეადგინა, ხოლო ამავე პერიოდში გაცემულმა პენსიამ/საპენსიო აქტივმა – 5,362,489.22 ლარი. ჯამურად, 2019-2022 წლებში პენსიის სახით გაცემული თანხა 9,722,021.67 ლარია (სსიპ საპენსიო სააგენტო).

დაგროვებით საპენსიო სისტემაზე გადასვლა საპენსიო რეფორმის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტია, რომელიც საპენსიო შემოსავლის გაუმჯობესებას უზრუნველყოფს. დაგროვებითი საპენსიო სქემა ეფუძნება „განსაზღვრული შენატანის“ პრინციპს (Defined Contribution). საპენსიო ანგარიშზე დაგროვებული თანხა დამოკიდებულია პერსონალურ შენატანებზე, საპენსიო ფონდის მოგებასა და დასაქმების სტაჟზე. განსაზღვრული ბენეფიტის პრინციპით, მოქალაქის სამომავლოდ მისაღები თანხა დაკავშირებულია ბენეფიციარის მხრიდან წლების განმავლობაში გამომუშავებულ ხელფასსა და შენატანებზე. ამრიგად, კერძო საპენსიო სისტემა უფრო მართებულ მიდგომას სთავაზობს საპენსიო სქემის მონაწილეებს, რომლებიც, საპენსიო ანგარიშებზე აკუმულირებულ თანხებთან ერთად, სოციალურ პენსიასაც მიიღებენ. ორივე სარგებელი ერთობლივად უზრუნველყოფს უფრო ადეკვატური ჩანაცვლების კოეფიციენტის მიღებას. იმისათვის, რომ აღნიშნულმა საპენსიო სქემამ გამართულად იმუშაოს და ფინანსური სტიმულირება მოახდინოს,

მთავრობამ უნდა უზრუნველოს დასაქმებულთა და დამსაქმებელთა წამახალისებელი ღონისძიებები, რათა მხარეები აქტიურად ჩაერთონ დაგროვებით საპენსიო სქემებში და სისტემის კონტრიბუტორები გახდნენ.

საპენსიო რეფორმის ფარგლებში დაგროვებით საპენსიო სისტემაში მონაწილეობა სქემის ბენეფიციარებს ფინანსურად უზრუნველყოფილ სიბერეს სთავაზობს. მონაწილის პერსონალურ საპენსიო ანგარიშზე აკუნულირებული საპენსიო თანხა იქნება მონაწილეთა კანონით დაცული ხელშეუხებელი საკუთრება. სისტემის მიზანია შექმნას ყოველწლიური ამონაგები, რომელიც მაღალი იქნება, ვიდრე ინფლაციის დონე. რაც უფრო რეალურია მოგება, მით მაღალი ჩანაცვლების კოეფიციენტის მიღწევაა გარანტირებული. რეფორმის ისეთი ფაქტორების ანალიზი, როგორიცაა: ხანდაზმული მოსახლეობის ზრდა, შობადობის კოეფიციენტის შემცირება, შრომისუნარიანი მოსახლეობის კლება, გაზრდილი მიგრაცია და სხვა, გვაჩვენებს, რომ მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტის დანახარჯები ვერ უზრუნველყოფს არსებული ჩანაცვლების კოეფიციენტის შენარჩუნებას ან გაუმჯობესებას. სწორედ დაგროვებითი საპენსიო მოდელი გახდება ის დამატებითი კომპონენტი, რომლითაც მიღწეული იქნება ადეკვატური ჩანაცვლების კოეფიციენტი. დაგროვებითი და სახელმწიფო პენსიები ერთდროულად უზრუნველყოფს ხანდაზმულთა სიღარიბისგან დაცვას. ინდექსაციის წყალობით, სახელმწიფო პენსია არ უნდა იყოს საარსებო მინიმუმზე ნაკლები. დაგროვებით საპენსიო სქემას აქვს ეკონომიკის მასტიმულირებელი ეფექტი. პენსიონერთა დანაზოგის ზრდა ხელს შეუწყობს ეროვნული ბაზრის კაპიტალის განვითარებას, რაც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე სასიკეთოდ აისახება.

დასკვნა

რეფორმის სარგებლიანობა არის სახელმწიფოზე საბიუჯეტო წნეხის შემცირება, პენსიონრების უკეთ დაცვა სიღარიბისგან. პენსიის ინდექსაციამ გარანტირებულად უნდა უზრუნველყოს პენსიონერის მყიდველობითი დონის შენარჩუნება. მომავალი თაობის პენსიონრების უფრო მაღალი საპენსიო შემოსავლით უზრუნველყოფა პირდაპირაა დაკავშირებული დასაქმების პერიოდში მიღებულ შემოსავალსა და საპენსიო ფონდის მოგებასთან. საპენსიო სისტემა ფორმალურ სექტორში დასაქმებულ მოქალაქეებს საშუალებას მისცემს უკეთ დაგეგმონ საპენსიო ასაკი და დამოკიდებული არ იყვნენ მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსებაზე.

ამასთან, კერძო დაგროვებით საპენსიო სისტემას აქვს ეკონომიკის მასტიმულირებელი ეფექტი. კერძო დანაზოგის ზრდა ნიშნავს გრძელვადიანი ფინანსური რესურსის მობილიზებას, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივი კაპიტალური ბაზრის განვითარებას და, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე დადებითად აისახება.

ლიტერატურა

1. A Global Perspective. (2017). *Why Population Aging Matters.* Retrieved from: https://www.nia.nih.gov/sites/default/files/2017-06/WPAM.pdf
2. Kukava, M., Sagharaishvili, M., & Jamurashvili, L. (2023). *The Future of Georgian Pension Reform.* Reprieved from: https://idfi.ge/ge/future_of_the_georgian_pension_reform
3. Government of Georgia. (2018). *Assessment of the impact of regulation on the saving pension reform.* Reprieved from: http://www.economy.ge/uploads/files/2017/reformebi/regulirebis_gavlenis_shefaseba_dagrovebit_sapensio_reformaze.pdf
4. Government of Georgia. (2013). *The pension reform. Global and Georgian perspective.* Reprieved from: https://csogeorgia.org/storage/app/uploads/public/5cd/c9b/3a8/5cdc9b3a85dcc760935169.pdf
5. Ministry of economic and sustanable development of Georgia. (2016). Pension reform of Georgia. Peport. Reprieved from: http://www.economy.ge/uploads/ecopolitic/sapensio/Goverment_Report_on_pensions_Final_GEO.pdf
6. Pension Agency. (2022). Report of 2022. Reprieved from: https://pensions.ge/ka/public-information/agency-activity-reports/2022-annual-report
7. Urotadze, J. (2018). *Pension policy of Georgia and world experience.* Tbilisi: TSU. Reprieved from: http://press.tsu.ge/data/image_db_innova/Jaba%20Urotadze.pdf
8. Utiashvili, D. (n.d). *Policy Research (Compulsory accumulation system).* Reprieved from: https://www.pmcresearch.org/policypapers_file/f2c15c8fbd2f45878.pdf

UDC 612.321
SCOPUS CODE 1408
https://doi.org/10.36073/1512-0996-2024-2-140-148

Urgency of Pension Reform in Georgia

Zaza Sopromadze Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: z.sopromadze@gtu.ge

Nino Gvetadze Department of Business Administration, Georgian Technical University, Georgia, 0160, Tbilisi, 77, M. Kostava str.
E-mail: ngvetadze@moh.gov.ge

Reviewers:

N. Chikviladze, Academic Doctor of Economics, Associate Professor, Faculty of Business Technologies, GTU
E-mail: n.chikviladze@gtu.ge

M. Toria, Associate Professor, Faculty of Business Technologies, Caucasus International University
E-mail: Mamuka.toria@ciu.edu.ge

Abstract. Georgia urgently needs pension reform. The disadvantage of the existing pension model was its pressure on the state budget. At the same time, the resent demographical changes, the increase in the life expectancy of pensioners, active aging in the demographic sector, the tendency of the labor force to decrease, the introduction of universal health insurance and other factors have had a significant impact on the country's economy and have highlighted new challenges that have put the sustainability of the state pension system at risk.

The discussion of the need of the pension system reform in Georgia has become more and more active in recent years. It should be emphasized that within the expenditure allocation of the state budget, the largest proportion is attributed to social expenditures, with the state pension system claiming the most significant share.

The pension scheme operating in Georgia does not guarantee a sufficient standard of living, it provides only a basic income, and that is why the government has prioritized the need of pension reform on the agenda so that the system responds more to the needs of aging populations and ensures their honorable old age as much as possible.

Keywords: active aging; budgetary pressure; demographic changes; pension indexation; pension policy; relevance of the reform; replacement ratio; saving pension system; social costs; solidarity effect; usefulness of the reform.

განხილვის თარიღი 29.02.2024
შემოსვლის თარიღი 29.02.2024
ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.06.2024